პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- ერთიან ეროვნულ გამოცდების ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით: მათემატიკაში ან ფიზიკაში; ქართულ ენაში; უცხო ენა (ინგლისური).
- პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს შიდა და გარე მობილობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.
- პროგრამაზე ჩარიცხვა ერთიან ეროვნულ გამოცდების ჩაბარების გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

- მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობისთვის სისტემური, ფუნდამენტური, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტი ინფორმაციული ტექნოლოგიების ძირითად მიმართულებებში: დაპროგრამება, მონაცემთა ბაზები, ვებტექნოლოგიები და კომპიუტერული ქსელები, ადამიანი-კომპიუტერის ინტერაქციის ძირითადი თეორიული და ტექნოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით;
- შესძინოს კურსდამთავრებულს ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკული და კვლევითი საკითხების ცოდნა;
- გამოუმუშაოს კურსდამთავრებულს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს ობიექტის ანალიზისა და კვლევის უნარები.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

სწავლის შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და შინაარსს, არის გაზომვადი და მიღწევადი; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

1. **ავლენს** ფართო ცოდნას ინფორმაციული ტექნოლოგიებში, რომლითაც განსაზღვრავს ინფორმაციულ ტექნოლოგიების ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებულ საკითხებს;

2. **ახდენს** სტანდარტული და უახლესი მეთოდების გამოყენებით, სისტემური ცოდნის საფუძველზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების ძირითად სფეროებშიგადასაწყვეტი ამოცანებს იდენტიფიკაციას და ფორმულირებას;

3. მიღებული ცოდნის საფუძველზე **აანალიზებს** მონაცემთა ბაზებში, კომპიუტერულ ქსელებსა და ვებტექნოლოგიებში მომხმარებლების მოთხოვნებს;

4. **წყვეტს** წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, პრაქტიკული ხასიათის ამოცანებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ძირითადი სფეროების ინსტრუმენტების გამოყენებით;

5. **ახორციელებს** ჯგუფთან ერთად პროგრამული სისტემების, მონაცემთა ბაზების, ვებსისტემების, კომპიუტერული ქსელების დაპროექტებას, შემუშავებასა და მართვას;

6. **წარადგენს** გასაგებად და ენობრივი ნორმების სრული დაცვით დოკუმენტაციას და ახდენს ცოდნის პრეზენტაციას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური საკითხების გათვალისწინებით;

7. **გეგმავს** საკუთარ განვითარებას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით და/ან თეორიულ სფეროში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას, უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა, ბმული:
https://www.gtu.edu.ge/uploads/2026/03/appeal-restore.pdf
დეტალური ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ მოცემულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში, ბმული:
https://www.gtu.edu.ge/students/stsavleba-da-mkhardachera/sastsavlo-protsesi/sauniversito-maregulirebeli-dokumentebi/
პრაქტიკის შეფასება ხორციელდება სტუ-ის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესისა და შესაბამის სილაბუსში აღწერილი წესით და კრიტერიუმების საფუძველზე, ბმული
https://www.gtu.edu.ge/students/stsavleba-da-mkhardachera/sastsavlo-protsesi/pormebi-instruqtsiebi/
საბაკალავრო ნაშრომის დაცვის შეფასება ხდება საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესის მიხედვით, ბმული: https://www.gtu.edu.ge/uploads/2026/03/sabakalavro-kvlevithi-proeqtisnashromis-shesrulebis-tsesi.pdf

საგანი	კრედიტი
საინჟინრო მათემატიკა 1	**5**
ზოგადი ფიზიკაA	**4**
შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში	**4**
კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია (CIT)	**5**
დაპროგრამების საფუძვლები (C/C++ -ის ბაზაზე) (CIT)	**5**
აკადემიური წერის ელემენტები	**3**
ინგლისური ენა 1	**5**
საინჟინრო მათემატიკა 2	**5**
ზოგადი ფიზიკა B	**4**
მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები (CIT)	**5**
ოპერაციული სისტემების საფუძვლები(CIT)	**5**
ვებ პროგრამირების საფუძვლები HTML5,CSS, JavaScript;	**5**
ინგლისური ენა 2	**5**
ინგლისური ენა 3	**5**
მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა (SQL სერვერის ბაზაზე)	**5**
ეთიკა ინფორმაციული ტექნოლოგიებში	5
ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (Java) (CIT)	**5**
ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება C#(CIT)	
დაპროგრამება მრავალფუნქციურ Python ენის ბაზაზე	**5**
ვებ დიზაინი (UI & UX)	**5**
მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება (MS SQL)	**5**
ვებ-პროგრამირება (PHP-ის ბაზაზე)	**5**
ვებ ტექნოლოგიები (DJango FrameWork)	
WEB აპლიკაციების დაპროგრამება .NET გარემოში	
ინფორმაციული სისტემების დაპროგრამება (Java-ს ბაზაზე)	**5**

ინფორმაციული სისტემების დაპროგრამება (C#-ზე)	
კომპიუტერული ქსელების საფუძვლები (CIT)	
ეკონომიკის პრინციპები	**5**
გამოყენებითი ფსიქოლოგია	
საქართველოს ისტორია და კულტურა	
სოციოლოგია	
ფილოსოფიის შესავალი	
ინგლისური ენა 4	**5**
დაპროგრამება Laravel Framework გამოყენებით	**5**
ვებ გვერდების შექმნა და მართვა (WordPress)	
გამოყენებითი სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი Python-ის ბაზაზე	**5**
ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები (CIT)	**5**
კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება(CIT)	**5**
არა-რელაციური მონაცემთა ბაზები	**5**
დისკრეტული მათემატიკის ელემენტები	**5**
პროგრამული ინჟინერიის საფუძვლები	**5**
მობილური აპლიკაციების დაპროგრამება Anrdoid-ისთვის	**5**
მობილური აპლიკაციების დაპროგრამება ios-ისთვის	
დიდ მონაცემთა შენახვის და დამუშავების სისტემები	**5**
ნივთების ინტერნეტი(CIT)	**5**
ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები (CIT)	**5**
ადამიანურ-კომპიუტერული ინტერაქციები(CIT)	**5**
საწარმოო პრაქტიკა (CIT)	**5**
ანალიტიკური სერვისები მონაცემთა ბაზებში (CIT)	**5**
პროექტების კომპიუტერული მართვა	**5**
კიბერუსაფრთხოების გამოწვევები	**5**

ბლოკჩეინი და მისი გამოყენებები (CIT)	**5**
ღრუბლოვანი და გრიდ ტექნოლოგიები (CIT)	
თავისუფალი კომპონენტი 1	**5**
საბაკალავრო პროექტი (CIT)	**10**
ინფორმაციული სისტემების მართვა - Devops	**5**
ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მართვა	**5**
კოდირება და შიფრირება კრიპტო სისტემებში	**5**
საკომუნიკაციო ქსელების ორგანიზება	
ხელოვნური ინტელექტი კომპიუტერულ თამაშებში	
მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Oracle	
თავისუფალი კომპონენტი 2	**5**
სულ	**240**
თავისუფალი კომპონენტები	
ბიზნეს-კომუნიკაცია	**5**
ევროპული ცივილიზაცია	**5**
ელექტრონული მთავრობა	**5**
თანამედროვე სამყაროს კულტურები და ორგანიზაციები	**5**
კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა	**5**
მარკეტინგის საფუძვლები	**5**
მასპინძლობის ეთიკა და მოლაპარაკების ხელოვნება	**5**
მსოფლიო ცივილიზაციები	**5**
ორგანიზაციული ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვის საფუძვლები	**5**
რელიგია და პოლიტიკური პროცესები ევროპაში	**5**
რელიგიების ისტორია	**5**
საქმიანი მიმოწერა	**5**
შემოქმედებითი აზროვნების საფუძვლები	**5**

ციფრული ეკონომიკა	**5**
ხელოვნური ინტელექტი რობოტებში	**5**
ხელოვნური ნეირონული ქსელი - რა არის ეს?	**5**